ევროპის საბჭო

მინისტრთა კომიტეტი

წევრი სახელმწიფოების მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2000)21

ადვოკატის პროფესიის განხორციელების თავისუფლების შესახებ

ევროპის ადამიანის უფლებების შესახებ კონვენციის,

გაეროს კონვენციის ადვოკატის როლის ძირითადი პრინციპების შესახებ,

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ 1994 წლის 13 ოქტომბერს მიღებული №R(94)12 მოსამართლეების დამოუკიდებლობისა და ეფექტურობის შესახებ რეკომენდაციის გათვალისწინებით,

ადვოკატების ფუნდამენტური როლის ხაზგასმით, რომელსაც ადვოკატები და ადვოკატთა პროფესიული ასოციაციები ასევე თამაშობენ ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების უზრუნველყოფის საქმეში;

სამართლის უზენაესობის გამყარების მიზნით, რომელშიც ადვოკატები მონაწილეობენ, კერძოდ ცალკეული პირების დაცვაში, ადვოკატის პროფესიის თავისუფლად განხორციელების ხელშეწყობის სურვილით;

მართლმსაჯულების სამართლიანი სისტემის საჭიროების გაცნობიერებით, რომელიც უზრუნველყოფს ადვოკატების დამოუკიდებლობას მათი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას ნებისმიერი არასათანადო ნებისმიერი პირისაგან ან ნებისმიერი მიზეზით, პირდაპირი ან არაპირდაპირი შეზღუდვის, გავლენის, წაქეზების, ზეწოლის, მუქარის ან ჩარევის გარეშე;

ადვოკატის უფლება-მოვალეობების სათანადოდ განხორციელების უზრუნველყოფის აუცილებლობის გაცნობიერებით, კერძოდ ადვოკატებისათვის სათანადო ტრენინგის

მიღების და მათი სასამართლოს წინაშე და კლენტების წინაშე მოვალეობებსა შორის ბალანსის დაცვის;

მართლმსაჯულების ხელმისაწვდომიბისათვის პირების საჭიროების გათვალისწინებით, ისარგებლონ ადვოკატის მომსახურებით მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის დროს;

ევროპის საბჭოს წესდების 15.ბ მუხლის პირობების შესაბამისად, მინისტრთა კომიტეტი

რეკომენდაციას უწევს წევრი სახელმწიფოების მთავრობებს, შესაბამისად მიიღონ და განახორცილონ ყველა ზომა, რომელიც მათ აუცილებლად მიაჩნიათ წინამდებარე რეკომენდაციაში მოცემული რეკომენდაციების შესრულებისათვის.

პრინციპი I – ადვოკატის პროფესიის თავისუფლების ძირითადი პრინციპები

1. ყველა ზომა უნდა იქნას მიღებული ადვოკატის პროფესიის თავისუფლების პატივისცემის, დაცვისა და ხელშეწყობის მიზნით დისკრიმინაციის და არასათანადო ჩარევის გარეშე საზოგადოების ან ხელისუფლების მხრიდან, კერძოდ ადამიანის უფლებების შესახებ ევროპული კონვენციის შესაბამისი დებულებების გათვალისწინებით.

2. საადვოკატო საქმიანობის განხორციელების ან ადვოკატის პროფესიაში დაშვების ნებართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იწნეს დამოუკიდებელი ორგანოს მიერ. ასეთი გადაწყვეტილებები, უნდა დაექვემდებაროს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს ხელისუფლების მიერ განხილვას მიუხედავად იმისა, მიღებულია თუ არა ისინი დამოუკიდებელი ორგანოს მიერ.

3. ადვოკატი უნდა სარგებლობდეს რწმენის, გამოხატვის, გადაადგილების, შეკრებისა და გაერთიანების უფლებით და, კერძოდ, უნდა ჰქონდეს უფლება, მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივ დისკუსიებში კანონთან და მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებზე და წარმოადგინოს წინადადებები საკანონმდებლო რეფორმების შესახებ.

4. ადვოკატს არ უნდა დაეკისროს ან დაემუქრონ რაიმე სახის სანქციით ან ზეწოლით, როდესაც ისინი მათი პრფესიული სტანდარტების შესაბამისად მოქმედებენ.

5. ადვოკატებს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ მათ კლიენტებზე, განსაკუთრებით იმ პირებზე, რომლებიც თავისუფლების აღკვეთის პირობებში იმყოფებიან, რათა შესაძლებლობა მიეცეთ გაუწიონ პირვატული კონსულტაცია და წარმოადგინონ კლიენტები დადგენილი პროფესიული სტანდარტების შესაბამისად.

6. მიღებულ უნდა იქნას ყველა აუცილებელი ზომა, რათა უზრუნველყოფილი იქნას ადვოკატი-კლიენტის ურთიერთობის კონფიდენციალურობის პატივისცემა. ამ პრინციპის გამონაკლისები შეიძლება დაშვებულ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს კანონის უზენაესობის პრინციპებს შეესაბამება.

7. ადვოკატს არ უნდა ეთქვას უარი შევიდეს სასამართლოში, რომელშიც საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილება გააჩნია და მას უნდა მიუწვდებოდეს ხელი ყველა საჭირო მასალებზე მისი კლიენტების ინტერესებისა და უფლებების დაცვის დროს, პროფესიული სტანდარტების შესაბამისად.

8. ყველა ადვოკატი, რომელიც ერთიდაიგივე საქმეზე მუშაობს, ვალდებულია თანაბარი პატივისცემა გამოიჩინოს სასამართლოს მიმართ.

პრნციპი II – იურიდიული განათლება, ტრენინგი და იურიდიულ პროფესიაში შესვლა

1.1. დაუშვებელია პირს ეთქვას უარი იურიდიული განათლებაზე, იურიდიულ პროფესიაში შესვლაზე და საადვოკატო საქმიანობის განგრძობად განხორციელებაზე, კერძოდ სქესის, სექსუალური ორიენტაციის, რასის, კანის ფერის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა სახის შეხედულებების ან სოციალური წარმომავლობის, ეროვნული უმცირესობის წევრობის, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადების ან ფიზიკური ნაკლის გამო.

2. მიღებულ უნდა იქნას ყველა აუცილებელი ზომა, რათა უზრუნველყოფილი იქნას სამართლებრივი ტრენინგის და მორალის მაღალი სტანდარტი, როგორც პროფესიაში შესვლის წინაპირობა და ადვოკატთათვის განგრძობადი იურიდიული განათლება.

3. იურიდიული განათლება, განგრძობადი იურიდიული განათლების პროგრამების ჩათვლით, მიზნად უნდა ისახავდეს იურიდიული უნარ-ჩვევების დახვეწას, ეთიკური ნორმებისა და ადამიანის უფლებების შესახებ ცოდნის ამაღლებას და ადვოკატების მათი კლიენტების ინტერესებისა და უფლებების დაცვაში და მართლმსაჯულების სწორად განხორციელების მხარდაჭერაში გაწვრთნას.

პრინციპი III – ადვოკატის როლი და მოვალეობები

1. ადვოკატთა ასოციაციებმა ან სხვა სახის ადვოკატთა პროფესიულმა გაერთიენებებმა უნდა მიიღონ პროფესიული სტანდარტები და ქცევის კოდექსი. მათ უნდა უზრუნველყონ, რომ მათი კლიენტების კანონიერი ინტერესებისა და უფლებების დაცვისას, ადვოკატი ვალდებულია იმოქმედოს დამოუკიდებლად, გულდასმით და სამართლიანად.

2. ადვოკატებმა პატივი უნდა სცენ პროფესიულ საიდუმლოებას შიდა კანონმდებლობის, დებულებებისა და პროფესიული სტანდარტების შესაბამისად. პროფესიული საიდუმლოების ნებისმიერი სახის დარღვევა კლიენტის თანხმობის გარეშე, უნდა ექვემდებარებოდეს შესაბამის სანქციებს.

3. კლიენტის წინაშე ადვოკატის ვალდებულებები უნდა მოიცავდეს:

ა. მათი კანონიერი უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ კონსულტაციას და საქმის სავარაუდო შედეგებსა და რეზულტატს ფინანსური დანახარჯების ჩათვლით;

ბ. საქმის მეგობრული გზით გადაწყვეტისათვის ყოველგვარ ძალისხმევას;

გ. სამართლებრივი ქმედებების განხორციელებას მათი კლიენტების

უფლებებისა და ინტერესების დაცვის, პატივისცემისა და რეალიზაციის მიზნით;

დ. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილებას.

ე. იმაზე მეტი საქმის აღებაზე უარის თქმას, რასაც ადვოკატი რეალურად თავს

გაართმევს.

4. ადვოკატმა პატივი უნდა სცეს სასამართლო ხელისუფლებას და განახორციელოს მისი საქმიანობა სასამართლოს წინაშე ისეთი მანერით, რომელიც შეესაბამება ადგილობრივ სამართლებრივ ან სხვა სახის წესებსა და პრფესიულ სტანდარტებს. ადვოკატის მიერ მისი საქმიანობის განხორციელებისაგან ნებისმიერი სახით თავის შეკავებამ თავიდან უნდა აიცილოს კლიენტის ინტერესების ან სხვა პირების, რომელთაც მისი მომსახურება ესაჭიროებათ, დაზიანება.

პრინციპი IV – ყველა პირის ადვოკატისადმი ხელმისაწვდომობა

1. მიღებულ უნდა იქნას ყველა აუცილებელი ზომა, რათა უზრუნველყოფილი იქნას ყველა პირის მიერ დამოუკიდებელი ადვოკატების მიერ გაწეული იურიდიული მომსახურებისადმი ხელმისაწვდომობა.

2. ადვოკატი უნდა იყოს წაქეზებული გაუწიოს იურიდიული მომსახურება პირებს, რომლებიც მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში არიან.

3. წევრი სახლემწიფოების მთავრობებმა შესაბამისად უნდა უზრუნველყონ მართლმსაჯულებისადმი ეფექტური ხელმისაწვდომობა, ეკონომიკურად მძიმე

მდგომარეობაში მყოფი პირებისათვის ეფექტურიუ იურიდიული მომსახურების ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით თავისუფლების აღკვეთის პირობებში მყოფი პირებისათვის.

4. იმ ფაქტს, რომ ადვოკატის ჰონორარი სრულად ან ნაწილობრივ საჯარო სახსრებიდან იფარება, გავლენა არ უნდა ჰქონდეს ადვოკატის მოვალეობებზე კლიენტის წინაშე.

პრინციპი V – ასოციაციები

1. ადვოკატებს უნდა ჰქონდეთ უფლება და წახალისება ჩამოაყალიბონ ან გაწევრიანდნენ პროფესიულ ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო ასოციაციებში, რომლებსაც ინდივიდუალურად ან სხვა ორგანოებთან ერთად აკისრიათ პროფესიული სტანდარტების გაძლიერებისა და ადვოკატების ინტერესებისა და დამოუკიდებლობის დაცვის ფუნქცია.

2. ადვოკატთა ასოციაციების ან ადვოკატთა სხვა პროფესიული გაერთიანებების როლი მათი წევრების დაცვის და მათი დამოუკიდებლობის საქმეში არასათანადო შეზღუდვებისა ან ჩარევისაგან, დაფასებული უნდა იყოს.

3. ადვოკატთა ასოციაციები ან ადვოკატთა სხვა პროფესიული გაერთიანებები თვითრეგულირებაად ორგანოებს უნდა წარმოადგენდნენ და იყვნენ დამოუკიდებლენი ხელისუფლებისა და საზოგადოებისაგან.

4. ადვოკატთა ასოციაციების ან ადვოკატთა სხვა პროფესიული გაერთიანებების ხელშეწყობა უნდა განხორციელდეს, რათა უზრუნველყოფილ იქნას ადვოკატების დამოუკიდებლობა და ასევე:
ა. მართლმსაჯულების მიზნის ხელშეწყობა და მხარდაჭერა ყოველგვარი შიშის გარეშე;

ბ. ადვოკატის როლის საზოგადოებაში დაცვს და კერძოდ მისი ღირსების, პატივისა და შეუვალობის შენარჩუნება;

გ. ადვოკატების იმ სქემებში მონაწილეობის ხელშეწყობა, რომლებიც ხელს უწყობს მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფი პირების მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობას, კერძოდ იურიდიული დახმარებისა და კონსულტაციების გაწევა.

დ. იურიდიული რეფორმის მხარდაჭერა და ხელშეწყობა და დისკუსია მოქმედ და შეთავაზებულ კანონმდებლობაზე;

ე. პროეფსიის წევრების კეთილდღეობის ხელჭეწყობა და მათი ან მათი ოჯახების დახმარება საჭიროებისამებრ;

ვ. სხვა ქვეყნების ადვოკატებთან თანამშრომლობა ადვოკატის როლის ხელჭეწყობის მიზნით, კერძოდ ადვოკატთა საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობასთან და საერთაშორისო მთავრობათაშორისი და არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობასთან მიმართებით.

ზ. ადვოკატის კომპეტენტურობის უმაღლესი სტანდარტის მხარდაჭერა და ადვოკატის ქცევისა და დისციპლინეს სტანდარტებიისადმი პატივისცემის შენარჩუნება.

5. ადვოკატთა ასოციაციებმა ან ადვოკატთა სხვა პროფესიულმა გაერთიანებებმა უნდა მიმართონ ყველა შესაძლო ზომას, დამცველი ადვოკატის ინტერესების დაცვის ჩათვლით შესაბამისი ორგანოს წინაშე:

ა. ადვოკატის დაკავების ან დაპატიმრების შემთხვევაში;

ბ. ნებისმიერი გადაწყვეტილების არსებობის შემთხვევაში, ადვოკატის მიუკერძოებლობის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენების შესახებ;

გ. ადვოკატის ან მისი ქონების ჩხრეკის შემთხვევაში;

დ. ადვოკატის მფლობელობაში არსებული ნებისმიერი დოკუმენტაციის ან მასალების ამოღების შემთხვევაში;

ე. პრესის საშუალებით ანგარიშების გავრცელების შემთხვევაში, რომლებიც ადვოკატების სახელით მოქმედებას მოითხოვს;

პრინციპი VI – დისციპლინური წარმოება

1. როდესაც ადვოკატები ადვოკატთა ასოციაციების ან ადვოკატთა სხვა პროფესიული გაერთიენებების მიერ დამტკიცებული ქცევის კოდექსით დადგენილი პროფესიული სტანდარტების ან კანონმდებლობის შესაბამისად არ მოქმედებენ, მიღებულ უნდა იქნას შესაბამისი ზომები დისციპლინური წარმოების ჩათვლით

2. ადვოკატთა ასოციაციები ან ადვოკატთა სხვა პროფესიული გაერთიანებები პასუხისმგებელნი უნდა იყვნენ და შესაბამის შემთხვევაში უფლებამოსილნი უნდა იყვნენ მონაწილეობა მიიღონ დისციპლინურ წარმოებაში ადვოკატთა მიმართ.

3. დისციპლინური წარმოება უნდა განხორციელდეს ადამიანის უფლებების შესახებ ევროპული კონვენციით გათვალისწინებული პრინციპების და წესების სრულ შესაბამისობაში, მათ შორის ადვოკატის უფლების დაცვით მონაწილეობა

მიიღოს წარმოებაში და მიმართოს სასამართლო ხელისუფლებას გადაწყვეტილების გადახედვის მიზნით.

4. ადვოკატების მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომებისათვის სანქციების დადგენისას, გათვალისწინებულ უნდა იქნას პროპორციულობის პრონციპი.